ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №02
2026 წლის 15 იანვარი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №24 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №24 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ (www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.144.016419, 30/12/2022) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ცირა ინდუაშვილი**

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	პოლიტიკური თანამდებობის პირები	რიცხოვნობა	კოეფიციენტი	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1	4.10	6560
	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3.10	4960
3.	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	2.7	4320
	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2.2	3520
	პოლიტიკური თანამდებობის პირი –	2	2.00	3200

	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე			
6.	**პოლიტიკური თანამდებობის პირი –** **საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე**	8	1.6	2560
№	**ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი**	**რიცხოვნობა**		**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1.	პირველი რანგის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	2	3200
№	**პროფესიული საჯარო მოხელეები**	**რიცხოვნობა**		**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1.	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1.3	2080
2.	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	9	1.2	1920